ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით პროდუქციის შესაძენად, ასევე, სასურველი თემის მიხედვით სიახლეების გამოწერის მიზნით ვებ-საიტზე მომხმარებელმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია, რისთვისაც საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია.

<u>მომხმარებლის რეგისტრაცია</u>

რეგისტრაცია ხდება ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში არსებული ღილაკის გამოყენებით

1.

2. შეავსეთ რეგისტრაციის ღილაკზე დაჭერის შემდეგ გამოსული ველები, გაეცანით და დაეთანხმეთ მომსახურების შეთანხმებას (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ რეგისტრაციისთვის მომსახურების შეთანხმების გაცნობა და მასზე დათანხმება სავალდებულოა).
3. რეგისტრაციის ველების შევსების შემდეგ, ანგარიში გააქტიურეთ თქვენს მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი ბმულის მეშვეობით.

<u>ავტორიზაცია</u>

ავტორიზაცია ხდება ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში არსებული ღილაკის გამოყენებით

1.

2. ავტორიზაციის მიზნით, მიუთითეთ თქვენს მიერ რეგისტრაციისას მითითებული ელექტრონული ფოსტა, პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“.

<u>სიახლეების გამოწერა</u>

ავტორიზაციის შემდეგ, ეკრანის ქვედა მარჯვენა კუთხეში გამოწერის ღილაკის გამოყენებით

მონიშნეთ და შეინახეთ თქვენთვის სასურველი თემა ან თემები. ამის შემდეგ, თქვენს მიერ მონიშნულ განყოფილებაში ახალი ინფორმაციის განთავსებისას, თქვენს ელექტრონულ ფოსტაზე გამოგეგზავნებათ შეტყობინება.

<u>შეკვეთის განთავსება</u>

1. შეკვეთის განთავსებამდე, გთხოვთ, წინასწარ გადაამოწმოთ რეალიზაციის პირობები სიახლეების განყოფილებაში.

2. შეკვეთის განთავსება შესაძლებელია იმ პროდუქტებზე, რომელსაც ქვედა მარჯვენა მხარეს აქვს მითითებული მინიშნება „მარაგშია“ , თუ სხვა პირობა არ არის განსაზღვრული კონკრეტული პროდუქტისთვის, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნება პროდუქტის დეტალურ გვერდზე კომენტარის სახით, ასევე მარაგში არსებული პროდუქტების გადამოწმება შესაძლებელია

პროდუქციის კატალოგში მარცხენა მხარეს განთავსებული ფილტრის მეშვეობით .

3. შეკვეთის განთავსების მიზნით, აირჩიეთ პროდუქციის კატალოგიდან მარაგში არსებული პროდუქტი ან პროდუქტები და გადადით კალათაში

4. კალათაში გადასვლის შემდეგ, შესაძლებელია პროდუქციის რაოდენობის შეცვლა ან კალათიდან წაშლა.

- გადაამოწმეთ საკონტაქტო ნომერი და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალეთ, რადგან პროდუქციის მიწოდებისას მითითებულ ნომერზე მოხდება დაკავშირება;
- მიუთითეთ მისამართი, სადაც გსურთ პროდუქციის მიღება;
- აირჩიეთ მიწოდების მეთოდი;
- გადაიხადეთ შეკვეთის თანხა საგადახდო ბარათის მეშვეობით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შეკვეთის დასრულების შემდეგ მისამართის, ტელეფონის ნომრის, მიწოდების ტიპის ან სხვა ინფორმაციის ცვლილება შეკვეთაში დაუშვებელია.

5. შეკვეთის დასტურის შესახებ ინფორმაცია გამოგეგზავნებათ თქვენს ელექტრონულ ფოსტაზე.

6. შეკვეთის შესახებ სტატუსს შეგიძლიათ თვალყური ადევნოთ ეკრანის ზედა მარჯვენა მხარეს, თქვენს სახელზე მაუსის მიტანისას ჩამოშლილ სიაში, განყოფილებიდან „ჩემი შეკვეთები“